

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 9 1 5

ქ. ბათუმი, 18 ნოემბერი 2015 წ

#### ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და მერის წარმომადგენლების მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში მოქალაქეთა დაშვების, საშვთა სისტემის ფუნქციონირების და მერიის თანამშრომელთა მიერ დაშვების კონტროლის სისტემის გამოყენების საკითხების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში (მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ლერმონტოვის ქ. №90<sup>ა</sup> და ორბელიანის ქ. №10) მოქალაქეთა დაშვება განხორციელდეს დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის გადამლახავი შესაბამისი ბარათისა და საშვის მიღების გზით, გარდა ბრძანების მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საშვით რეგულირდება შენობაში დაშვებული მოქალაქის გადაადგილება. საშვის გამომწერი უფლებამოსილი პირი საშვში აღნიშნავს მოქალაქის მიმღები თანამშრომლის ვინაობას და მოქალაქის შენობაში დაშვების დროს, ხოლო შენობაში დაშვებული მოქალაქის მიღების დამთავრება მოწმდება მერიის შესაბამისი თანამშრომლის მიერ მიღების დამთავრების დროისა და ხელმოწერის დადასტურებით. მერიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია მოქალაქეთა მიღება განახორციელოს მხოლოდ მოქალაქის მიერ საშვის წარდგენისას. შენობაში დაშვებული მოქალაქის მიღების დამთავრების შემდგომ, მოქალაქის მიმღები თანამშრომელი ან მისი დავალებით იმავე სტრუქტურული ერთეულის სხვა თანამშრომელი ვალდებულია გააცილოს მოქალაქე დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის ბარათის ამომცნობამდე, მოქალაქის მიერ შენობის დატოვების უზრუნველყოფის მიზნით.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში (მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ლერმონტოვის ქ. №90<sup>ა</sup> და ორბელიანის ქ. №10) მოქალაქეთა დაშვება შესაძლებელია დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის გადამლახავი შესაბამისი ბარათისა და საშვის გარეშე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, ვიცე-მერის, მერის მოადგილეების ან მათი რეფერენტების მიერ, დაცვის სამსახურისადმი შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში (მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ლერმონტოვის ქ. №90<sup>ა</sup> და ორბელიანის ქ. №10) ჟურნალისტ(ებ)ის დაშვება შესაძლებელია დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის გადამლახავი შესაბამისი ბარათისა და საშვის გარეშე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის, ვიცე-მერის, მერის მოადგილეების ან მათი რეფერენტების და ქ. ბათუმის

მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მიერ, დაცვის სამსახურისადმი შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში (მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ლერმონტოვის ქ. №90<sup>ა</sup> და ორბელიანის ქ. №10) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ხელმძღვანელები (დირექტორი, არსებობისას გენერალური დირექტორი) დაშვებულ იქნან დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის გადამლახავი შესაბამისი ბარათისა და საშვის გარეშე, მათ მიერ დაცვის სამსახურისადმი შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე.

5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში (მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ლერმონტოვის ქ. №90<sup>ა</sup> და ორბელიანის ქ. №10) მოქალაქეთა დაშვებაზე დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის გადამლახავი შესაბამისი ბარათისა და საშვის დაშვების უფლება აქვთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, ვიცე-მერს, მერის მოადგილეებს ან მათ რეფერენტებს, ასევე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, მოადგილეებს და განყოფილების უფროსებს.

6. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის და მერის წარმომადგენლ(ებ)ის მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში, სადაც მოწყობილი არ არის დაშვების კონტროლის სისტემა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობამდე, მოქალაქეთა დაშვება შესაძლებელია განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის ხელმძღვანელის, მოადგილის, განყოფილების უფროსის და მერის წარმომადგენლ(ებ)ის მიერ და მათი გადაწყვეტილებით, ხოლო თანამშრომლების სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან გასვლის აღრიცხვა განხორციელდეს სპეციალურ ჟურნალში.

7. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები სამსახურში გამოცხადებისას, ასევე სამსახურიდან გასვლისას ვალდებული არიან დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის გადამლახავი შესაბამისი ბარათები გაატარონ დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის ბარათის ამომცნობზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევი თანამშრომლის მიმართ გატარდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

8. დაუშვებელია დაშვების კონტროლის სისტემის - ბარიერის გადალახვა შესაბამისი ბარათის გატარების გარეშე, მექანიკური ზემოქმედების შედეგად.

9. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა თანამშრომელს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს (დირექტორი, არსებობისას გენერალური დირექტორი). წინამდებარე ბრძანება, მოქალაქეთა მიერ მისი გაცნობის მიზნით, განთავსდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ასევე გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და მერის წარმომადგენლების მიერ დაკავებულ ადმინისტრაციულ შენობებში მოქალაქეთა დაშვების, საშვთა სისტემის ფუნქციონირების და მერიის თანამშრომელთა მიერ დაშვების კონტროლის სისტემის გამოყენების საკითხების მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 13 თებერვლის №94 ბრძანება.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი